Tax and Legal Newsletter

bakertilly

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

ცვლილება შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებაში

არაკვალიფიციური გადამხდელი

„ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების, საგადასახადო დოკუმენტების გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის უფლების შეზღუდვის შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 5 აგვისტოს №25697 ბრძანებაში, შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 1 ნოემბრის №34331 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება. კერძოდ, ცვლილება შეეხო ბრძანების მე-5 პუნქტს, რომელიც განსაზღვრავდა საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილებას, არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელისთვის მიენიჭებინა კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი, ან უარი ეთქვა სტატუსის მინიჭებაზე, მათ შორის, გადასახადის გადამხდელის მიმართვის შემთხვევაშიც. ცვლილების თანახმად, საგადასახადო ორგანო მხოლოდ გადასახადის გადამხდელის მიმართვის შემთხვევაში შეისწავლის საკითხს არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელისათვის კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

ცვლილება მეთოდურ მითითებებში

- **„კრედიტორული დავალიანების შესახებ“ მეთოდური მითითება**

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 8 ივლისის №22708 ბრძანებას „ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“, შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 12 ნოემბრის №35390 ბრძანებით დაემატა მეთოდური მითითება „კრედიტორული დავალიანების შესახებ“ - დანართი №8.

- **დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ მეთოდური მითითება**

„დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის N7536 ბრძანებაში 2021 წლის 15 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებით, მეთოდურ მითითებას დაემატა დანართი #9 - საქონლის მიწოდება. დანართი მიმოიხილავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ, საქონლის მიწოდების ცნებას, ანაზღაურების სანაცვლოდ საქონლის მიწოდებად განხილულ ცალკეულ ოპერაციებს, და ოპერაციებს, რომლებიც არ განიხილება ანაზღაურების სანაცვლოდ საქონლის მიწოდებად.

ამავე ცვლილებით ასევე დარედაქტირდა:

- დანართი №5-ი „დღგ-ის ჩათვლა“, კერძოდ, მაგალითი №4 - ძირითად საშუალებაზე დღგ-ის პროპორციული ჩათვლა, მაგალითი №5 - დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში, ძირითად საშუალებაზე დღგ-ის ჩათვლა, მაგალითი №6 - დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში, ძირითად საშუალებაზე დღგ-ის ჩათვლა, როდესაც გადასახადის გადამხდელი რეგისტრირდება დღგ-ის გადამხდელად 2021 წლამდე.
- დანართი №6 „მომსახურების გაწევის ადგილი“. კერძოდ დანართს დაემატა მე-4 ნაწილი - „ღონისძიებაზე დასწრებასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა“.

ცალკეული საქონლის იმპორტის თაობაზე სავალდებულო შეტყობინება

2021 წლის 1 დეკემბრიდან ინდივიდუალური დაცვის საშუალებების, მანქანა დანადგარების, ასევე აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების იმპორტი და საქართველოს ბაზარზე განთავსება წინასწარი შეტყობინების გარეშე ვერ განხორციელდება.

იმპორტის თაობაზე წინასწარი შეტყობინების ვალდებულება განისაზღვრება „მანქანა-დანადგარების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №85 დადგენილებით, „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №82 დადგენილებით და „მანქანა-დანადგარების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის №85 დადგენილებით. ზემოთ დასახელებული ნორმატიული აქტების საფუძველზე, იმპორტიორი ვალდებულია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის საშუალებით, შემოსავლების სამსახურსა და ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს იმპორტის განხორციელებამდე წინასწარ ელექტრონული ფორმით წარუდგინოს შესაბამისი საქონლის იმპორტის თაობაზე შეტყობინება.

წინასწარი შეტყობინების ფორმა, მისი შევსებისა და დადასტურების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

სხვა საკანონმდებლო სიახლეები

ცვლილება ალკოჰოლიან სასმელებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში

2021 წლის 16 ნოემბერს შეტანილი ცვლილებებით, აზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონით 2023 წლის 1 იანვრიდან პროდუქტი, რომლის დამზადებისათვის ბაზად გამოყენებულია ღვინო და დეალკოჰოლიზაციის გზით მიღებული ღვინო დაექვემდებარება სამართლებრივ რეგულირებას.

ალკოჰოლიანი სასმელის მაქსიმალური კონტროლისა და სამომხმარებლო ბაზრის ფალსიფიცირებისგან დაცვის ხელშეწყობის მიზნით, ცვლილებების მიღებით სავალდებულო ხდება და რეგულირდება საქართველოში წარმოებული და საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ალკოჰოლიანი სასმელის სერტიფიცირება. სერტიფიცირებას დაექვემდებარება მათ შორის ჩამოსასხმელი ღვინო, რომლის რეალიზაცია ხდება ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე. ასეთი სერტიფიკატი გაცემულ უნდა იყოს სსიპ-ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ და ის დაადასტურებს, რომ იდენტიფიცირებული პროდუქცია შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მის მიმართ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

იზოლაციისა და კარანტინის წესებში შესული ცვლილებები

იზოლაციისა და კარანტინის წესებში ნოემბრის თვეში დამატებით შემოღებული შეზღუდვები ერთის მხრივ ემსახურება ქვეყნის გარედან კორონავირუსის ინფექციის ახალი შტამის გავრცელების შეფერხებას, ხოლო მეორეს მხრივ დაკავშირებულია ქვეყნის შიგნით ვაქცინაციის პროცესის წახალისებასთან.

კორონავირუსის ახალი შტამის გავრცელების შეფერხების მიზნით დაწესებული შეზღუდვიდან აღსანიშნავია აფრიკის ქვეყნებიდან (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ბოტსვანის რესპუბლიკა, ზიმბაბვეს რესპუბლიკა, ნამიბიის რესპუბლიკა, ლესოთოს სამეფო, ესვატინი, მოზამბიკის რესპუბლიკა, მალავის რესპუბლიკა) ჩამოსული ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქესათვის საქართველოში შემოსვლისას სავალდებულო 14 დღიანი კარანტინის დაწესება. საკარანტინე სივრცეში განთავსების ხარჯები უნდა გაიღოს თავად კარანტინში მოთავსებულმა პირმა. კარანტინის პერიოდის გასვლის შემდეგ სავალდებულოა პირს ჩაუტარდეს პჯრ ტესტი თავისი ხარჯით. გამონაკლისია დაწესებული საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომელთა ტესტირების ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

ქვეყნის შიგნით კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის წახალისების მიზნით იზოლაციისა და კარანტინის წესებში შემოდის „მწვანე“ სტატუსის ცნება და შესაბამისად, ამ სტატუსის არმქონე პირებისთვის წესდება გარკვეული ხასიათის შეზღუდვები.

იზოლაციისა და კარანტინის წესების მიზნებისთვის, „მწვანე“ სტატუსის მქონედ ჩაითვლება პირი, რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ერთ-ერთ პირობას:

ა) ვაქცინირებულია სრულად;

ბ) ფლობს უკანასკნელი 72 საათის განმავლობაში კოვიდ 19-ის ინფექციაზე ჩატარებული პჯრ ტესტირების ან/და უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში ჩატარებულ ანტიგენ/სწრაფი ტესტირების ნეგატიურ პასუხს;

გ) გადატანილი აქვს კორონავირუსით გამოწვეული ინფექცია და ლაბორატორიულად დადასტურების თარიღიდან გასულია 14 დღეზე მეტი.

18 წლამდე პირებისათვის „მწვანე“ სტატუსის მოთხოვნა სავალდებულო პირობას არ წარმოადგენს.

„მწვანე“ სტატუსის არმქონე პირებს 2021 წლის 1 დეკემბრიდან აეკრძალათ:

- სათეატრო და კინემატოგრაფიული ხასიათის ღონისძიებებზე დასწრება;
- ბავშვთა გასართობ ცენტრებში ვიზიტი;
- სასტუმროს ტერიტორიაზე ჩატარებულ კონცერტზე დასწრება;
- საქართველოს უმაღლესი ლიგების მატჩებსა და საქართველოში დაგეგმილ საერთაშორისო შეჯიბრებებზე/მატჩებზე (სპორტის ნებისმიერ სახეობაში) დასწრება;
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცედურის/აქტივობის, ღია/დახურული ტიპის აუზების, სპაცენტრების განმახორციელებელი სუბიექტების მომსახურების მიღება;
- სასტუმროებსა და სხვა განთავსების ობიექტებზე კვების ობიექტის, სპორტული დარბაზებისა და საცურაო აუზების მომსახურების მიღება;
- სამთო კურორტების დახურული (გონდოლის ტიპის) საბაგიროებით სარგებლობა;
- კვების ობიექტების (რესტორნების/ბარების/კაფეების/სასტუმროს კვების ობიექტების) როგორც გარე, ისე შიდა სივრცეში მომსახურების მიღება;
- აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ადგილზე შესვლა;

„მწვანე“ სტატუსის არმქონე პირების შესაბამის ობიექტებში დაშვების წესების დარღვევის შემთხვევაში, თუ გამოვლინდა დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების კრიტიკული შეუსაბამობა, შრომის ინსპექციის სამსახური უფლებამოსილია, შეაჩეროს შესაბამისი პირის ეკონომიკური საქმიანობა.

Contact information

Bakertilly Georgia
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.